

ტიპური ტესტები ნარკოლოგიაში

1. ალკოჰოლური ალკვეთის სინდრომისთვის დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი სიმპტომი, გარდა:
 - ა) ჰიპერჰიდროზი;
 - ბ) ტრემორი;
 - გ) შფოთვა;
 - დ) ეიფორია;
 - ე) უძილობა.
2. კორსაკოვის ფსიქოზის დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს წარმოადგენენ ყველა ჩამოთვლილი, გარდა:
 - ა) ამნეზია;
 - ბ) კონფაბულაციები;
 - გ) ვერბალური ჰალუცინაციები;
 - დ) დეზორიენტაცია;
 - ე) კიდურების ნევრიტები.
3. რომელია არჩევის პრეპარატი ალკოჰოლური ალკვეთის სინდრომის სამკურნალოდ?
 - ა) ფლუოქსეტინი;
 - ბ) დისულფირამი
 - გ) დიაზეპამი;
 - დ) ზოპიკლონი;
 - ე) აკამპროზატი.
4. რომელია ალკოჰოლიზმის დროს არჩევის პრეპარატი რეციდივის საწინააღმდეგო ავერსიული თერაპიისთვის?
 - ა) ფლუოქსეტინი
 - ბ) დისულფირამი
 - გ) დიაზეპამი
 - დ) ზოპიკლონი
 - ე) ბუსპირონი.
5. პათოლოგიური (იდიოპათიური) თრობა არის:
 - ა) ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობით მოხმარების გამო განვითარებული ინტოქსიკაცია;
 - ბ) ალკოჰოლური კომა;
 - გ) ცნობიერების ბინდისმაგვარი ფორმით მიმდინარე ფსიქოზური მდგომარეობა.
6. ალკოჰოლური დამოკიდებულების დროს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მხრივ სპეციფიკურ პათოლოგიას წარმოადგენს:

- ა) ჰიპერტონული დაავადება;
- ბ) გულის იშემიური დაავადება;
- გ) კარდიომიოპათია;
- დ) რეინოს დაავადება.

7. ალკოჰოლურ ჰალუცინოზს ახასიათებს: 1)სმენითი ჰალუცინაციები;
2)ჰალუცინაციური ბოდვა; 3)ცნობიერების დაბინდვა; 4)ამნეზია:

- ა) სწორია 1;
- ბ) სწორია 2;
- გ) სწორია 3;
- დ) სწორია 4;
- ე) სწორია 1 და 2.

8. ალკოჰოლდეჰიდროგენაზის ზეგავლენით ეთანოლი გარდაიქმნება:

- ა) ფორმალდეჰიდად;
- ბ) აცეტალდეჰიდად;
- გ) აცეტატად;
- დ) ნახშირორჟანგად და წყლად.

9. კომპულსური ლტოლვის პიკი ოპიატურ ნარკომანებში შიძლება გამოვლინდეს ყველა ჩამოთვლილით, გარდა:

- ა) დამაბულობა, სევდა, დათრგუნულობა;
- ბ) ფსიქიკური და მოტორული მოუსვენრობა;
- გ) მადის მკვეთრი მპომატება;
- დ) უძილობა, სენესტოპათიების გაქრობა;
- ე) თამბაქოს ინტენსიური წევა.

10. ოპიატური დამოკიდებულების საბოლოო ეტაპზე დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ნარკოტიკის მატონიზებელი მოქმედება;
- ბ) ნარკოტიკაციის პროცესში ნარკოტიკის მიღების შწყვეტის პერიოდული ეპიზოდები;
- გ) სამედიცინო-სოციალური შედეგები;
- დ) კრუნჩხვითი განტვირთვები;
- ე) მუდმივი ასთენია, მოდუნება, განლევადობა;

11. რომელი სტრუქტურაა უპირატესად პასუხისმგებელი ოპიოიდური ალკვეთის სინდრომის „გრიპისმაგვარ“ სიმპტომატიკაზე?

- ა) თალამუსი;

ბ) ჰიპოთალამუსი;

გ) ვენტრალური ტემენტალური უბანი;

დ) ცისფერი ალაგი;

პრეფრონტალური ქერქი.

ე)

12. ჩამოთვლილთაგან რომელია სრული ოპიოიდური აგონისტი?

ა) ნალტრექსონი;

ბ) ბუპრენორფინი;

კოდეინი;

დ) ნალბუფინი.

გ)

13. ოპიატებით მწვავე ინტოქსიკაციის მდგომარეობაში აღინიშნება ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

ა) ნაწლავების მოტორული აქტივობის მომატება;

ბ) ჰიპოთერმია და ჰიპოტენზია;

გ) ხველების რეფლექსის დათრგუნვა;

დ) ტკივილისადმი ამტანობის მომატება;

ე) გულის რითმის შენელება და სუნთქვის დათრგუნვა.

14. ოპიატური დამოკიდებულების ფორმირების საწყის ეტაპზე ნარკოტიზაციის რითმი განისაზღვრება ყველა ჩამოთვლილით, გარდა:

ა) ფსიქიკური დამოკიდებულების სინდრომის ინტენსიურობა;

ბ) ნარკოტიკის მისაწვდომობა;

გ) საწყისი მაეიფორიზებელი ეფექტის შემცირება.

15. ოპიოიდური აღკვეთის მდგომარეობის მეორე დღე-ღამისთვის განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ყველა ჩამოთვლილი აშლილობა, გარდა:

ა) დაძაბულობის შეგრძნება და ნარკოტიკისადმი ლტოლვის მომატება;

ბ) შემცივნება და შხურების მდგომარეობათა მონაცვლეობა;

გ) ტკივილი ყბის სახსრებში და სადეჰ კუნთებში;

დ) ლორწოვანის სიმშრალის მომატება;

ე) პაროქსიზმული ცემინება.

16. რომელი მტკიცებაა სწორი მეთადონთან მიმართებაში?

ა) მეთადონი ეფექტური საშუალებაა ოპიოიდებზე დამოკიდებული პირების დეტოქსიკაციისთვის.

ბ) მეთადონით მხარდამჭერი თერაპიის დაწყება რეკომენდებულია მაღალი დოზებით.

გ) მეთადონით მხარდამჭერი თერაპიის დაწყება რეკომენდებულია დოზების სწრაფი ტიტრაციით.

დ) მხარდამჭერი თერაპიის სტაბილიზაციის ფაზაში რეკომენდებულია მეთადონის შედარებით დაბალი დოზები.

17. საძილე საშუალებების და ტრანკვილიზატორების მოხმარებლებში აღინიშნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი გარეგნული ნიშანი, გარდა:

ა) ტროფიკული დარღვევები;

ბ) შეშუპება;

გ) ჩირქოვანი გამონაყარი;

დ) წონის მკვეთრი დაკლება.

18. საძილე საშუალებების და ტრანკვილიზატორების მოხმარებისას აღკვეთის მდგომარეობის დროს განვითარებული ფსიქოზი იწყება ამ პრეპარატების მიღების შეწყვეტიდან:

ა) 12 – 24 საათში;

ბ) 1 – 2 დღეში;

გ) 3 – 5 დღეში.

19. რუხ-ყავისფერი ნადები ენაზე აღინიშნება:

ა) ალკოჰოლიზმით დაავადებულ პირებში;

ბ) საძილე საშუალებების და ტრანკვილიზატორების მოხმარებლებში;

გ) ოპიოიდების მოხმარებლებში.

20. ბენზოდიაზეპინები და ბარბიტურატები მოქმედებენ:

ა) გამა-ამინოერბომჟავას რეცეპტორებზე;

ბ) სეროტონინერგულ რეცეპტორებზე;

გ) დოფამინერგულ რეცეპტორებზე;

დ) გლუტამინერგულ რეცეპტორებზე.

21. ე.წ. „დღის“ ტრანკვილიზატორია:

ა) მიდაზოლამი (ფლორმიდალი);

ბ) ნიტრაზეპამი (ეუნოქტინი);

გ) დიაზეპამი (რელანიუმი);

დ) ტოფიზეპამი (გრანდაქსინი).

22. თუ საძილე საშუალებების მიღება წყდება და ნარკოტიკისადმი ლტოლვის დაკმაყოფილება არ ხდება, აღმოცენდება შემდეგი სიმპტომები, გარდა:

ა) გუნებ-განწყობის დათრგუნვა;

- ბ) გამლიზიანებლობა;
- გ) შიში;
- დ) შფოთვა;
- ე) მოუსვენრობა.

23. საძილე საშუალებებზე დამოკიდებულების სწყისი ეტაპისთვის დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი მალიმიტირებელი ბიოლოგიური რეაქციები (თავდაცვითი რეაქციები), გარდა:

- ა) პროფუზული ოფლიანობა;
- ბ) სლოკინი, ნერწყვდენა;
- გ) გულისრევა;
- დ) ქავილი;
- ე) ღებინება.

24. ბარბიტურატებით მწვავე ინტოქსიკაციის მდგომარეობაში სომატურ-ვეგეტატური დარღვევებისათვის დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ჰიპერსალივაცია;
- ბ) ოფლიანობა;
- გ) მიოზი;
- დ) ჰიპოტონია;
- ე) ბრადიკარდია.

25. კოკაინის მოქმედების ძირითადი ფარმაკოლოგიური მექანიზმია:

- ა) დოფამინერგულ D2 რეცეპტორებზე პირდაპირი აგონისტური მოქმედება
- ბ) ალფა-2 ნორადრენერგულ რეცეპტორებზე პირდაპირი აგონისტური მოქმედება
- გ) დოფამინის უკუჩაჭერის ბლოკირება სინაფსურ ნაპრალში
- დ) მონოამინოქსიდაზის ინჰიბირება.

26. კოკაინური აღკვეთის მდგომარეობის დროს არ აღინიშნება:

- ა) თავის ტკივილი;
- ბ) გაღიზიანება;
- გ) ძილიანობა;
- დ) ფალარათი.

27. ეფედრონით ნარკოტიზაციის მწვავე ინტოქსიკაციის მდგომარეობაში ვლინდება ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) მოძრაობებისადმი სწრაფვა;
- ბ) მეტყველების აჩქარება;

- გ) ძილისა და კვების სურვილის არარსებობა;
- დ) არათანმიმდევრული აზროვნება, საკუთარი შესაძლებლობების გადაფასება;
- ე) აგრესიულობა.

28. ამფეტამინებით მწვავე ინტოქსიკაციის მდგომარეობაში ქცევითი დარღვევებისთვის დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) ენერჯის მოზღვაების შეგრძნება;
- ბ) აქტივობის გაძლიერება, საკუთარი შესაძლებლობების გადაფასება;
- გ) გამღიზიანებლობა, შფოთვა;
- დ) მიდრეკილება მონოტონური, სტერეოტიპული რეაქციებისადმი;
- ე) მწვავე დეპრესიული რეაქციები.

29. კოფეინით მწვავე მოწამვლისას არ აღინიშნება:

- ა) ლებინება;
- ბ) ტრემორი;
- გ) დიარეა;
- დ) ბრადიკარდია;
- ე) ანორექსია.

30. სტიმულატორების მოხმარებით გამოწვეული მწვავე ინტოქსიკაციის დროს აღინიშნება: 1.პირის სიმშრალი; 2.კუნთოვანი ჰიპოტონია; 3.სისხლძარღვოვანი ჰიპერტენზია; 4. ჰიპორეფლექსია.

- ა) სწორია 1 და 4;
- ბ) სწორია 2 და 3;
- გ) სწორია 1 და 3;
- დ) სწორია 2 და 4.

31. კოკაინისმიერი მწვავე ინტოქსიკაციური ფსიქოზის კლინიკურ სურათში სჭარბობს ყველა ჩამოთვლილი გამოვლინება, გარდა:

- ა) მრავლობითი ნათელი ჰალუცინაციები;
- ბ) სენესტოპათიები და პარესთეზიები;
- გ) მწვავე პარანოიდული რეაქციები;
- დ) მწვავე დეპრესიული რეაქციები.

32. ამფეტამინებით მწვავე ინტოქსიკაციის მდგომარეობაში სომატური დარღვევები ხასიათდება ყველა ჩამოთვლილით, გარდა:

- ა) ჰიპერტენზია;
- ბ) არითმია;
- გ) სუნთქვის გახშირება;

- დ) მადის დაქვეითება;
- ე) გამლიერებული წყურვილი.

33. კანაბისით მწვავე მოწამვლისას სომატური დეკომპენსაციის ნიშნებს მიეკუთვნება ყველა ჩამოთვლილი, გარდა:

- ა) გუგების გაფართოება
- ბ) ჰიპერემიული სახე და კონიუქტივა
- გ) ტაქიკარდია
- დ) ჰიპოტენზია

34. ე.წ. „ფლემ-ბეკი“ (რემინესცენცია) დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი პრეპარატის მიღებისას, გარდა:

- ა) ლიზერგინის მჟავას დიეთილამიდი
- ბ) კოკაინი
- გ) ჰაშიში
- დ) მესკალინი
- ე) ფსილოციბინი.

35. ე.წ. „პანიკური რეაქციები“ როგორც წესი ახასიათებთ შემდეგი პრეპარატების მომხმარებლებს, გარდა:

- ა) ლიზერგინის მჟავას დიეთილამიდი;
- ბ) ჰერონი;
- გ) ჰაშიში;
- დ) მესკალინი;
- ე) ფსილოციბინი;

36. ნარკოტიკების შესახებ ერთიანი კონვენციის მიხედვით, კანაბისი არის:

- ა) კანაფის მცენარის ყვავილოვანი ან მსხმოიარე ყლორტები, რომელთაგანაც არ არის ექსტრაგირებული ფისი;
- ბ) გასუფთავებული ან გაუსუფთავებელი ექსტრაგირებული ფისი, რომელიც მიიღება კანაფის მცენარისაგან;
- გ) მცენარეულ ზეთთან ერთად ექსტრაგირების გზით მიღებული კანაბისის კონცენტრატი.

37. ფენციკლიდინით მოხმარებისას არ აღინიშნება:

- ა) ნისტაგმი;
- ბ) ჰიპერტენზია;
- გ) ჰიპოთერმია;
- დ) ცნობიერების ცვალებადი დონე.

38. ციკლოდოლით გამოწვეული მწვავე ინტოქსიკაციის I ფაზის დროს არ აღინიშნება:

- ა) მხიარულება;
- ბ) გაფანტულობა;

- გ) ფერების და ხმების ალქმის უნარის გამმაფრება;
- დ) ფიზიკური აქტივობის დაქვეითება.

39. სტრუქტურულად მსგავსია:

- ა) დოფამინის;
- ბ) სეროტონინის;
- გ) ადრენალინის;
- დ) ნორადრენალინის.

40. (ექსტაზი)-ს მოხმარების მე-2 დღეს არ აღინიშნება:

- ა) საერთო სისუსტე;
- ბ) ძილიანობა;
- გ) უხალისობა;
- გ) ატაქსია.